შპს ისთ გეით გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ისთ გეით გრუპ

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 5
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში 7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 8

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს ისთ გეით გრუპ და მისი საქმიანობა 9
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე 18
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება 19
5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები 24
6. ძირითადი საშუალებები 26
7. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში 27
8. მარაგები 27
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 28
10. ფული და ფულის ეკვივალენტები 29
11. საწესდებო კაპიტალი 29
12. სესხები 30
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 30
14. შემოსავალი 31
15. ძირითადი საოპერაციო ხარჯები 31
16. სხვა საოპერაციო ხარჯები 31
17. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები 32
18. ფინანსური რისკების მართვა 32
19. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 36
20. შემდგომი მოვლენები 37

შპს ისთ გეით გრუპ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ისთ გეით გრუპ“-ის (შემდგომში - „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,ფასს”) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ისთ გეით გრუპ-ის მფლობელებსა და დირექტორებს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს ისთ გეით გრუპ-ის („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა საკითხი

ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 30 სექტემბერს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოსცა პირობითი დასკვნა.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტ“-მა. 2017 წლის აპრილში შპს ისთ გეით გრუპმა გაყიდა მეკავშირე კომპანია შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“ თავისთან დაკავშირებულ კომპანიაზე შპს „ისთ გეით ჰოლდინგი“.

იმის გამო, რომ ანგარიშგების თარიღისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო აღნიშნული მეკავშირე კომპანიის გაყიდვის თარიღით არსებული საბალანსო ღირებულების საფუძვლიანი შეფასება და ასევე, იმის გამო, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო 2017 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებული პერიოდის შესაბამისი მოგების წილის გაანგარიშება, აუდიტორებმა არ გამოთქვეს მოსაზრება აღნიშნული გაყიდვის ტრანზაქციიდან მიღებული მოგების შესახებ და ასევე არ გამოთქვეს მოსაზრება შპს „სიემეი სიჯიემ საქართველოს“ მოგების წილის შესახებ. ასევე არ გამოთქვეს მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე „ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან“. თუმცა, მათ გამოთქვეს მოსაზრება სხვა მინორიტარი საწარმოს, შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“-ის მოგების წილის შესახებ, რამდენადაც ეს

აღნიშნულია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 5. „ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში“.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.
ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.

- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

თამარ მერმანიშვილი

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

2019 წლის 17 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	18,150	18,427	16,835
არამატერიალური აქტივები		10	10	10
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში	7	1,029	1,133	1,109
სულ გრძელვადიანი აქტივები		**19,189**	**19,570**	**17,954**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	266	373	525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	831	887	3,228
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		286	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		50	116	6
სხვა მიმდინარე აქტივები		-	8	225
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	147	207	429
სულ მიმდინარე აქტივები		**1,580**	**1,591**	**4,413**
სულ აქტივები		**20,769**	**21,161**	**22,367**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	1,342	1,320	5,277
გაუნაწილებელი მოგება		2,577	2,151	2,188
არამაკონტროლირებელი წილის მოგება		2,714	2,342	2,260
სულ კაპიტალი		**6,633**	**5,813**	**9,725**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	12,166	13,548	11,916
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**12,166**	**13,548**	**11,916**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	1,667	1,466	102
მიღებული ავანსები		46	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	255	329	596
საგადასახადო ვალდებულებები		1	5	28
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,969**	**1,800**	**726**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**20,769**	**21,161**	**22,367**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	14	10,008	6,821
შრომის ანაზღაურება		(4,146)	(2,890)
ძირითადი საოპერაციო ხარჯები	15	(2,704)	(2,334)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,183)	(1,212)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(482)	(670)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		124	249
საპროცენტო შემოსავლები		8	15
საპროცენტო ხარჯები		(1,056)	(1,067)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		(200)	(287)
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი	7	967	1,571
მოგება მოგების გადასახადამდე		**1,336**	**196**
მოგების გადასახადის ხარჯი		(9)	-
წლიური მოგება		**1,327**	**196**
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,327**	**196**
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		554	82
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		773	114
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,327**	**196**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

_____

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

_____

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილის მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2017		**5,277**	**2,260**	**2,188**	**9,725**
კაპიტალის შევსება		245	-	-	**245**
კაპიტალის შემცირება		(4,202)	-	-	**(4,202)**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	82	114	**196**
გადახდილი დივიდენდი		-	-	(292)	**(292)**
ენკის წილის გაყიდვა		-	-	141	**141**
ბალანსი 31 დეკემბერი 2017 (წინა ანგარიშგებით)		**1,320**	**2,342**	**2,151**	**5,813**
ახალი სტანდარტების დანერგვის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა 4)			**(182)**	**(87)**	**(269)**
ბალანსი 31 დეკემბერი 2017 (გადაანგარიშებული)		**1,320**	**2,160**	**2,064**	**5,544**
კაპიტალის შევსება		109	-	-	**109**
კაპიტალის შემცირება		(87)	-	-	**(87)**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	554	773	**1,327**
გადახდილი დივიდენდი		-	-	(260)	**(260)**
ბალანსი 31 დეკემბერი 2018		**1,342**	**2,714**	**2,577**	**6,633**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ		1,327	196
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,183	1,212
ასოცირებული კომპანიის გაყიდვით მიღებული მოგება		-	(9)
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი		(967)	(1,571)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი/(მოგება)		13	175
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		200	287
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვების (ამოტრიალება)/დარიცხვა, წმინდა		159	367
მარაგების რეზერვის (ამოტრიალება)/დარიცხვა, წმინდა		4	-
საპროცენტო შემოსავალი		(8)	(15)
საპროცენტო ხარჯი		1,056	1,067
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**2,967**	**1,709**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(474)	1,855
მარაგების შემცირება		103	152
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(24)	(290)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**2,572**	**3,426**
მიღებული პროცენტი		8	241
გადახდილი პროცენტი		(1,364)	(1,105)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,216**	**2,562**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(919)	(2,979)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		22	245
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	(4,202)
ასოცირებული კომპანიისგან მიღებული დივიდენდი		1,071	1,541
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**174**	**(5,395)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(2,417)	(12,022)
სესხების აღება		1,237	14,821
არამაკონტროლირებელი წილის გაყიდვიდან მიღებული ფული		-	141
ასოცირებული კომპანიის გაყიდვიდან მიღებული ფული		-	15
გადახდილი დივიდენდები		(260)	(292)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,440)**	**2,663**
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(50)**	**(170)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**207**	**429**
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		(10)	(52)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**147**	**207**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

1. შპს ისთ გეით გრუპ და მისი საქმიანობა

შპს ისთ გეით გრუპი („კომპანია“) დაარსდა 1997 წლის 9 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიციის რეფორმაციის საფუძველზე დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ფლობს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ოპერირებულ კომპანებს (შემდეგში მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“).

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო მფლობელები იყვნენ რევაზ ლეჟავა 32%-იანი წილით, ირაკლი იაშვილი 33%-იანი წილით, მიხეილ იაშვილი 23%-იანი წილით და კონსტანტინე მესხი 12%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას ერთ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება, ხოლო მეორე მიმართულებას წარმოადგენს სატერმინალო მომსახურების გაწევა. ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირებული და დაფუძნებული კომპანიების მართვა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რ-ნ, ჩიქობავას ქ.N24.

კომპანიის და ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებული იყო 321, 266 და 283 თანამშრომელი, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების განმავლობაში ჯგუფში დასაქმებული იყო საშუალოდ 294 და 275 თანამშრომელი, შესაბამისად.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2018 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2017 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2017 წლის 1 იანვარი, მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი	ინსუსტრია
შპს „ისთ გეით ენერჯი“	100%	100%	100%		არ ახორციელებს ოპერაციებს
შპს „ისთ გეით აგრო“	100%	100%	100%		სასოფლო-სამეურნეო
შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“	63%	63%	63%		სატერმინალო მომსახურება
შპს „ისთ გეით ფარმა“	100%	100%	100%		არ ახორციელებს ოპერაციებს
შპს „უნი სერვის ჯორჯია“	80%	80%	80%		სატრანსპორტო საშუალების რემონტი
შპს „ისთ სისტემს“	100%	100%	100%		არ ახორციელებს ოპერაციებს
შპს „ენკი“	50%	50%	100%		არ ახორციელებს ოპერაციებს
შპს „ფშაველა“	50%	50%	50%		ელ. ენერგიის გამომუშავება
შპს „ისთ გეით სისტემს“	62.26%	62.26%	62.26%		არ ახორციელებს ოპერაციებს
შპს „უნი-პრო“	58%	58%	58%		არ ახორციელებს ოპერაციებს

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს). ჯგუფი ფასს-ებზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვარს. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, ფასს 1 მოითხოვს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტიულ გამოყენებას. ეს ვერსია გამოყენებულია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე - არსებული ფინანსური მდგომარეობის პირველი ფასს ანგარიშგების მომზადებისას.

ვინაიდან ჯგუფს არ ევალებოდა ფინანსური ინფორმაციის მომზადება ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაო პრინციპების (ბასპ) მიხედვით და არც მოუმზადებია ის, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შედარება წინა ბასპ და ფასს ინფორმაციას შორის.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;

- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის

მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სერვისის გაწევით ან საქონლის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

მიწაზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება ნაშთის შემცირებადი მეთოდით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც ჯგუფი მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით ჯგუფის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ ჯგუფს გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც

არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 "მოგების გადასახადებით" არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე

ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა ჯგუფის მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ

პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიკური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044	2.7940

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც ჯგუფი ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ჯგუფი შესრულების ვალდებულებას ყველა შემდეგ რეჟიმზე აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან თითოეულ რეჟიმზე არის შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხორციელდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. ჯგუფს არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

ჯგუფი იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი

ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. ჯგუფი, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2018 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და შესაბამისი განმარტებები);
- ფასს 2 (შესწორება) - აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება;
- ბასს 40 (შესწორება) - საინვესტიციო ქონების გადაცემა;
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი;
- შესწორება ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასიკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ჯგუფმა ფასს 15 და ფასს 9 პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება: გაუფასურება; და ჰეჯირების აღრიცხვა.

ჯგუფმა ფასს 9 პროსპექტიულად გამოიყენა, საწყისი გამოყენების თარიღით - 2018 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა შეჯამებითი ინფორმაცია არ გადააფასა და კვლავაც უჩვენებს მას ბასს 39-ის შესაბამისად. ფასს 9-ის გამოყენებით გამოწვეული სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აისახა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი იყო:

(ქართული ლარი)	31 დეკემბერი 2017	ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი	1 იანვარი 2018
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,323	-	1,323
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(436)	(269)	(705)
სულ აქტივები	**887**	**(269)**	**618**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2,342	(182)	2,160
არამაკონტროლირებელის მოგების წილი	1,151	(87)	1,064
სულ კაპიტალი	**3,493**	**(269)**	**3,224**

ხელმძღვანელობამ არ ჩათვალა არსებითად 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის გამოყენების ეფექტის ჩვენება.

აღნიშნული კორექტირების ხასიათი იხილეთ ქვემოთ:

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად შეიცვალა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღრიცხვის წესი, რადგან ბასს 39-ის გაწეული ზარალის მიდგომა ჩანაცვლდა ფორვარდული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) მიდგომით. ფასს 9-ის თანახმად, ჯგუფი ვალდებულია, მსდ-ის რეზერვი აღიაროს ყველა სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული, მოგება-ზარალში და სახელშეკრულებო აქტივებში.

ფასს 9-ის მიღებით, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება 182 ათასი ლარით, ხოლო არამაკონტროლირებელი წილის მოგება 87 ათასი ლარით შემცირდა, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი გაიზარდა 269 ათასი ლარით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბასს 39-ით გათვალისწინებული შეფასების ძველი კატეგორიები და ფასს 9-ით გათვალისწინებული შეფასების ახალი კატეგორიები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისათვის:

(ქართული ლარი)	ძველი კლასიფიკაცია ბასს 39	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9	ძველი საბალანსო ღირებულება ბასს 39	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9
ფული და ფულის ეკვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	207	207
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	887	618
სულ ფინანსური აქტივები			**1,094**	**825**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	329	329
სესხები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	15,014	15,014
საგადასახადო ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	5	5
სულ ფინანსური ვალდებულებები			**15,348**	**15,348**
წმინდა ფინანსური ვალდებულებები			**(14,254)**	**(14,523)**
2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი			**(269)**	

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისათვის შეფასების ძველი კატეგორიები და ფასს 9-ით გათვალისწინებული შეფასების ახალი კატეგორიები შეიცვალა ისე, როგორც ნაჩვენებია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცხრილში.

ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს შემდეგ სტანდარტებს: ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიიღება. სტანდარტი გვთავაზობს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების ხუთეტაპიან მოდელს და მოითხოვს, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს იმ ოდენობით, რომელშიც ასახულია კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელი ანაზღაურების ოდენობა.

ფასს 15 კომპანიებს ავალდებულებს, გამოიყენონ დასკვნებზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. გარდა ამისა, სტანდარტი ვრცელ განმარტებებსაც მოითხოვს.

ჯგუფმა ფასს 15 2017 წლის 1 იანვრიდან მიიღო, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდით. ახალ სტანდარტზე გადასვლას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ეფექტი არ ჰქონია.

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 16 - იჯარა[1];
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები[2];
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით[1];
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში[3];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი[1].
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება[3];
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დარიცვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა[4];
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)[5].

[1] ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
[2] ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
[3] ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
[4] ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტიული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად გადაანგარიშების გარეშე;
[5] სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. ჯგუფისთვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16: C5(6) შესაბამისია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ დღეს, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები, მათ შორის, მიწა, შენობა-ნაგებობები და გადამცემი ხაზები საიჯარო ვალდებულებას წარმოადგენს. ცვლადანაზღაურებიანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები საკონტრაქტო ვადიანობის აქტივების შემთხვევაში, ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული გამონაკლისის საშუალება და იჯარას არ აღიარებს. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ვადა 2-5 წელია. შესაბამისად, ჯგუფი შეჯამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. ჯგუფი გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელოვნად არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს. იჯარა ან საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 16-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდა უარყოფითი ანაზღაურების მახასიათებლებით

ფასს 9-ის შესწორება განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდეც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 9-ის შესწორება საგრძნობ ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს ოთხი სტანდარტის შესწორებას: ფასს 3 "ბიზნესების გაერთიანება', ფასს 11 "ერთობლივი საქმიანობა', ბასს 12 "მოგების გადასახადები' და ბასს 23 "სესხის აღების ხარჯები'.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, თუ განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა აღებული სესხის რაიმე ნაწილი, ეს სესხი ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც ჯგუფი ზოგადად სესხულობს.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ ჯგუფმა კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივად

განხორციელებული გაერთიანების მოთხოვნებით, მათ შორის რეალური ღირებულებით გადააფასოს ერთობლივ საქმიანობაში ადრე ფლობილი წილი. ამ უკანასკნელში უნდა შევიდეს არაღიარებული აქტივები, ვალდებულებები და გუდვილი, რომელიც ერთობლივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ ჯგუფი მონაწილეობს კომერციულ ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია მასზე ერთობლივი კონტროლი, მოიპოვებს ერთობლივ კონტროლს მასზე, ჯგუფი არ გადააფასებს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილ წილებს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დარიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 გვთავაზობს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს:

- განსაზღვრონ, გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და
- შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დარიცხვის წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში:
  - თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დარიცხვასთან თანმიმდევრულად.
  - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა გაურკვევლობის ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

წინა პერიოდის გამორჩენილი მონაცემები და შეცდომები. ჯგუფი წინა პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდის საწყის ნაშთებს.

ხელმძღვანელობამ გამოავლინა და რეტროსპექტიულად გაასწორა შეცდომები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემდეგ პუნქტებში:

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

(ქართული ლარი)	ანგარიშგებული	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**31 დეკემბერი 2017**		**31 დეკემბერი 2017**
ძირითადი საშუალებები	18,636	(209)	18,427
ფული და ფულის ეკვივალენტები	520	(313)	207
გაუნაწილებელი მოგება	2,777	(626)	2,151
არამაკონტროლირებელი წილის მოგება	2,238	104	2,342
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**1 იანვარი 2017**		**1 იანვარი 2017**
ძირითადი საშუალებები	16,916	(81)	16,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	742	(313)	429
გაუნაწილებელი მოგება	2,624	(436)	2,188
არამაკონტროლირებელი წილის მოგება	2,218	42	2,260

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომები ფულის და ფულის ეკვივალენტებში, კონკრეტულად ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა დანაკლისი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, რის მიხედვითაც დააკორექტირა ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთი და გაუნაწილებელი მოგება. ამასთან ერთად ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომები ძირითადი საშუალებების ცვეთის მეთოდში, კონკრეტულად შვილობილ კომპანია შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს ცვეთა ითვლებოდა დაჩქარებული მეთოდით, როდესაც ჯგუფის კონსოლიდაციის მიზნებისათვის ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, შესაბამისად მოხდა შვილობილ კომპანიაში ცვეთის გადათვლა წრფივი მეთოდით და დაკორექტირდა ძირითადი საშუალებების ნაშთი და გაუნაწილებელი მოგება.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებებში შევიდა გარკვეული რეკლასიფიკაციები და ამ გზით მოხდა 2018 წლის 31 დეკემბრის საპრეზენტაციო ფორმის დაცვა. რეკლასიფიკაცია შეეხო 2017 წლის 31 დეკემბერსა და 1 იანვარს დასრულებული წლების ფინანსურ მდგომარეობას.

(ქართული ლარი)	წინა ჩვენებით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაცია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	რეკლასიფიცირებული 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	აღწერა
სესხები	102	6,695	6,797	სესხების ნაწილი რეკლასიფიცირდა გრძელვადიანი ვალდებულებებიდან მიმდინარე ვალდებულებებში
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	102	6,695	6,797	
სესხები	11,916	(6,395)	5,221	სესხების ნაწილი რეკლასიფიცირდა მიმდინარე ვალდებულებებიდან გრძელვადიან ვალდებულებებში
გრძელვადიანი ვალდებულებები	11,916	(6,395)	5,221	

6. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2017	**2,548**	**-**	**11,059**	**3,763**	**346**	**4,141**	**37**	**21,894**
შესყიდვა	1,740	-	863	90	82	203	-	2,978
რეალიზაცია	(79)	-	-	-	(2)	(132)	-	(213)
ჩამოწერა	-	-	-	-	(29)	(12)	(17)	(58)
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	**4,209**	**-**	**11,922**	**3,853**	**397**	**4,200**	**20**	**24,601**
შესყიდვა	62	292	363	32	60	110	-	919
გადატანა	**-**	-	-	-	-	(28)	-	(28)
რეალიზაცია	**-**	(2)	-	-	-	-	-	(2)
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	**4,271**	**290**	**12,285**	**3,885**	**457**	**4,282**	**20**	**25,490**
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2017	**-**	**-**	**1,334**	**721**	**219**	**2,764**	**21**	**5,059**
წლის დარიცხვა	-	-	486	200	63	458	5	1,212
გაყიდულის ცვეთა	-	-	-	-	(1)	(38)	-	(39)
	-	-	-	-	(29)	(12)	(17)	(58)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	**-**	**-**	**1,820**	**921**	**252**	**3,172**	**9**	**6,174**
წლის დარიცხვა	-	-	512	211	51	407	2	1,183
გაყიდულის ცვეთა	-	-	-	-	-	(17)	-	(17)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	**-**	**-**	**2,332**	**1,132**	**303**	**3,562**	**11**	**7,340**
ნარჩენი ღირებულება								
1 იანვარი 2017	**2,548**	**-**	**9,725**	**3,042**	**127**	**1,377**	**16**	**16,835**
31 დეკემბერი 2017	**4,209**	**-**	**10,102**	**2,932**	**145**	**1,028**	**11**	**18,427**
31 დეკემბერი 2018	**4,271**	**290**	**9,953**	**2,753**	**154**	**720**	**9**	**18,150**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დაგირავებული ბანკებისგან მიღებული სესხებით (შენიშვნა 12). 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნდა სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული ძირითადი საშუალებები 2,870 ათასი ლარის, 2,796 ათასი ლარის და 2,410 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

7. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში

ჯგუფის ასოცირებული კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში შეადგენს:

		31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
დასახელება	საქმიანობა	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი
შპს სიჯიემ საქართველო	ტრანსპორტირება	-	-	-	-	6	20%
შპს თეთრი ქალაქი პლუსი	არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება	1,029	43%	1,133	43%	1,103	43%
სულ ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში		**1,029**		**1,133**		**1,109**	

მოძრაობა ასოცირებული კომპანიის ინვესტიციაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირია:

	2018	2017
ინვესტიციის ღირებულება 1 იანვარი	**1,133**	**1,109**
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი	967	1,571
ინვესტიციის გაყიდვა	-	(6)
მიღებული დივიდენდი	(1,071)	(1,541)
ინვესტიციის ღირებულება 31 დეკემბერი	**1,029**	**1,133**

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მთლიანი ვალდებულებები	(284)	(96)	(310)
მთლიანი აქტივები	2,561	2,606	2,752
წმინდა აქტივები	**(2,277)**	**(2,510)**	**(2,442)**

	2018	2017
მთლიანი შემოსავალი	3,382	3,394
მოგება	2,248	2,608

8. მარაგები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სარკინიგზო მასალა	129	153	215
სამშენებლო მასალები	106	172	243
საწვავი	19	18	25
სასუქი	-	23	33
სხვა	12	7	9
სულ მარაგები	**266**	**373**	**525**

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	1,514	1,313	3,172
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	11	6	2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	170	4	123
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,695**	**1,323**	**3,297**
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(864)	(436)	(69)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	**831**	**887**	**3,228**

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის დინამიკა შემდეგია:

(ლარი)	2018	2017
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	**436**	**69**
კორექტირება ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის გამოყენებისას	269	-
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	**705**	**69**
დარიცხული გაუფასურება	248	367
გაუფასურების რეზერვის გაუქმება წლის განმავლობაში	(89)	-
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	**864**	**436**

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

31 დეკემბერი 2018 (ლარი)	ვადაგადაუცილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	30-90 დღის ვადაგადაცილებით	91-180 დღის ვადაგადაცილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	448	191	321	735	-	**1,695**
მსდ არსებობის მანძილზე	(10)	(19)	(100)	(735)	-	**(864)**

1 იანვარი 2018 (ლარი)	ვადაგადაუცილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	30-90 დღის ვადაგადაცილებით	91-180 დღის ვადაგადაცილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	396	291	37	599	-	**1,323**
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	(28)	(408)	-	**(436)**

	31 დეკემბერი 2018		
(ქართული ლარი)	მე-2 ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო ხარისხი - გაუფასურების გარეშე	მე-3 ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო ხარისხი - გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	960	735	**1,695**
სულ	**960**	**735**	**1,695**

	31 დეკემბერი 2017		
(ქართული ლარი)	მე-2 ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო ხარისხი - გაუფასურების გარეშე	მე-3 ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო ხარისხი - გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	724	599	**1,323**
სულ	**724**	**599**	**1,323**

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული სალაროში	27	9	273
ფული ბანკში	120	198	156
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**147**	**207**	**429**

11. საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 1,342 ათას ლარს, 1,320 ათას ლარს და 5,277 ათას ლარს, შესაბამისად.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო მფლობელები იყვნენ რევაზ ლეჟავა 32%-იანი წილით, ირაკლი იაშვილი 33%-იანი წილით, მიხეილ იაშვილი 23%-იანი წილით და კონსტანტინე მესხი 12%-იანი წილით.

12. სესხები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	7.3%	04/04/2022	5,065	5,290	-
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	7.3%	28/04/2022	3,017	3,168	-
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	7.3%	05/04/2022	2,493	2,631	2,665
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	6.5%	30/12/2021	1,079	1,436	1,534
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	6.5%	31/03/2022	966	1,068	-
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	7.3%	31/03/2022	576	609	403
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	7.3%	03/05/2022	247	252	-
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	ლარი	14%	17/09/2019	216	-	-
შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია	დოლარი	11%	31/12/2020	171	495	609
გიორგი წიკლაური	ლარი	20%	01/01/2015	4	4	4
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	ლარი	14%	31/08/2018	-	43	-
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	7.3%	03/04/2017	-	-	5,418
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	ევრო	6.5%	31/03/2017	-	-	788
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	ევრო	6.5%	01/04/2017	-	-	272
შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია	ლარი	5%	03/02/2017	-	-	165
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	დოლარი	10%	03/04/2017	-	-	133
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	ლარი	11%	27/11/2017	-	-	8
სხვა გამსესხებლები	ლარი	11%		-	18	19
სულ სესხები				**13,834**	**15,014**	**12,018**

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 წლამდე	1,667	1,466	102
ერთიდან ხუთ წლამდე	12,166	13,548	11,916
სულ ნასესხები სესხები	**13,834**	**15,014**	**12,018**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2017	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2018
აღებული სესხები	15,014	(1,429)	(60)	309	13,834

	1 იანვარი 2017	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2017
აღებული სესხები	12,018	2,800	(37)	233	15,014

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	78	187	381
გადასახდელი ხელფასები	54	43	35
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	123	99	180
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**255**	**329**	**596**

14. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგისაგან:

	2018	2017
კონტეინერის ატვირთვა/ჩამოტვირთვა	2,148	1,798
შენახვა	1,938	923
ავტომანქანების საიმპორტო მომსახურება	1,923	75
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	1,396	1,524
გადატვირთვა	867	601
ტრანსპორტირება	664	671
იჯარა	254	80
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	109	189
შემოსავალი მანქანებისა და მოწყობილობების რემონტიდან	96	9
სხვა	613	951
	10,008	**6,821**

15. ძირითადი საოპერაციო ხარჯები

ძირითადი საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2018	2017
ტრანსპორტირების ხარჯი	619	455
რემონტის ხარჯი	577	489
ძირითადი მასალების ხარჯი	250	426
საწვავის ხარჯი	240	140
კომუნალური ხარჯები	206	145
საგადასახადო ხარჯი	217	190
საკონსულტაციო ხარჯი	194	178
დაცვის ხარჯი	191	178
სერვისის უზრუნველყოფის ხარჯი	65	50
სხვა	145	83
სულ ძირითადი საოპერაციო ხარჯები	**2,704**	**2,334**

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2018	2017
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	159	367
დაზღვევის ხარჯი	73	67
კომუნიკაციის ხარჯი	49	41
მილის მომსახურების საფასური	47	48
საიჯარო ქირა	6	17
სხვა	148	130
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**482**	**670**

17. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ჯგუფის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში ჯგუფის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2018 და 2017 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა. საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

18. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ

შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ჯგუფის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს
ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	831	887	3,228
ფული და ფულის ეკვივალენტი	147	207	429
სულ საკრედიტო რისკი	**978**	**1,094**	**3,657**

საბაზრო რისკი. ჯგუფზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ჯგუფი არ იყენებს.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
USD 1 = 2.6766	EUR 1 = 3.0701	USD 1 = 2.5922	EUR 1 = 3.1044

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	GEL	GEL	GEL	GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	40	1	84	47
სულ ფინანსური აქტივები	**40**	**1**	**84**	**47**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	11,569	2,045	12,445	2,504
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	-	7	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**11,576**	**2,045**	**12,452**	**2,504**
სულ წმინდა პოზიცია	**(11,536)**	**(2,044)**	**(12,368)**	**(2,457)**

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2018 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 10%	**USD/GEL – 10%**	**EUR/GEL + 10%**	**EUR/GEL – 10%**
მოგება/(ზარალი)	(1,154)	1,154	(204)	204

2017 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 10%	**USD/GEL – 10%**	**EUR/GEL + 10%**	**EUR/GEL – 10%**
მოგება/(ზარალი)	(1,237)	1,237	(246)	246

2017 წლის 1 იანვარს:

ეს რისკი გაანგარიშებულია ჯგუფის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

კაპიტალის რისკი. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, ჯგუფი კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სულ სესხები (შენიშვნა 12)	13,834	15,014	12,018
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	(147)	(207)	(429)
წმინდა სესხები	**13,687**	**14,807**	**11,589**
სულ კაპიტალი	**6,633**	**5,813**	**9,725**
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	**206%**	**255%**	**119%**

საპროცენტო რისკი. ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. ჯგუფი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.
ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. ჯგუფს განზრახული აქვს მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, ჯგუფის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:
2018 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				

ფული და ფულის ეკვივალენტები	147	-	-	**147**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	831	-	-	**831**
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	**978**	**-**	**-**	**978**
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	255	-	-	**255**
საგადასახადო ვალდებულებები	1	-	-	**1**
სესხები	1,199	1,407	13,862	**16,468**
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	**1,455**	**1,407**	**13,862**	**16,724**
ლიკვიდობის დეფიციტი	**(477)**	**(1,407)**	**(13,862)**	**(15,746)**
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**(477)**	**(1,884)**	**(15,746)**	

2017 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	207	-	-	**207**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	696	191	-	**887**
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	**903**	**191**	**-**	**1,094**
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	329	-	-	**329**
საგადასახადო ვალდებულებები	5	-	-	**5**
სესხები	1,160	1,260	16,201	**18,621**
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	**1,494**	**1,260**	**16,201**	**18,955**
ლიკვიდობის დეფიციტი	**(591)**	**(1,069)**	**(16,201)**	**(17,861)**
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**(591)**	**(1,660)**	**(17,861)**	

19. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	20
მიღებული სესხები	-	9	172

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შემოსავალი	-	-	2,330
შესყიდვები	-	-	97
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული განაცემები	105	449	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	41

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	17
მიღებული სესხები	-	4	467

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შემოსავალი	-	-	468
შესყიდვები	-	-	73
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული განაცემები	879	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	53

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
მიღებული სესხები	-	-	-

20. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 1 მაისს და 1 ივლისს ჯგუფმა გამოაცხადა 500,000 ლარის და 170,000 ლარის დივიდენდები, შესაბამისად.

შპს „ისთ გეით გრუპ“

მმართველობის ანგარიშგება და
2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
მოსაზრება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ისთ გეით გრუპის მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ისთ გეით გრუპ“-ის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ისთ გეით გრუპ“-ის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ისთ გეით გრუპი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი

2019 წელი, თბილისი, საქართველო

საქმიანობის მიმოხილვა

შპს "ისთ გეით გრუპი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 1997 წლის 9 ივნისს.

შპს „ისთ გეით გრუპის" (შემდგომში "კომპანია") იურიდიული მისამართია: თბილისი, ჩიქობავას ქუჩა #24. კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები არიან: ირაკლი იაშვილი, მიხეილ იაშვილი და რევაზ ლეჟავა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ირაკლი იაშვილი. კომპანიის დირექტორი და უშუალო მმართველობაზე პასუხისმგებელი პირია დავით დავითიძე.

შპს „ისთ გეით გრუპი" პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობს მაკონტროლებელ და არამაკონტროლებელ წილს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედ საწარმოების ჯგუფში (შემდგომში „ჯგუფი").

ჯგუფში გაერთიანებული კომპანიები არიან: შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი", შპს „ისთ გეით ენერჯი", შპს „ისთ გეით აგრო", შპს „ისთ გეით ფარმა", შპს „ისთ გეით სისტემს", შპს „უნი სერვის ჯორჯია" , შპს „ენკი", რომელსაც ასევე აქვს მაკონტროლებელი წილი საწარმო შპს „ფშაველაში". ჯგუფი ასევე ფლობს არამაკონტროლებელ წილს საწარმო შპს „თეთრი ქალაქი პლუსში" (შემდგომში „მეკავშირე საწარმო"). ასევე 2017 წლის 4 აპრილამდე ჯგუფის დაკავშირებული იურიდიული პირი იყო შპს „სიემეი სიჯიემი საქართველო" (ასევე, „მეკავშირე საწარმო").

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. გარდა აღნიშნულისა, ჯგუფის შემოსავლის წყაროებია ასევე: ჰიდროელექტროსადგურის გაქირავება.

ჯგუფში შემავალი კომპანიებიდან ყველაზე მსხვილი შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთია", რომელშიც შპს „ისთ გეით გრუპი" 63%-იან წილს ფლობს. დანარჩენი, 37%ის წილის მფლობელები არიან: გია ოქრუაშვილი -17%, თამარ მელია 10%, ირაკლი მელია 10%. კომპანია დაარსდა 2004 წლის 7 ივნისს შპს „არგოს"-ს რეორგანიზაციის შედეგად. შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი"-ს ოპერაციები ძირითადად სატვირთო გადაზიდვების სფეროდანაა. კომპანიის მომსახურება მოიცავს:

- ტვირთის მიწოდება ფოთის ტერმინალიდან დანიშნულების ადგილამდე
- ტვირთების შეგროვება სხვადასხვა დატვირთვის ადგილიდან
- ნებისმიერი სახის ტვირთების ტრანსპორტირება სატვირთო ავტომობილების სრული და ნაწილობრივი დატვირთვით (FTL, LTL)
- მძიმეწონიანი და არაგაბარიტული ტვირთების ტრანსპორტირება
- სახიფათო და მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვა, ტემპერატურული რეჟიმის მქონე ავტომობილებით
- საყოფაცხოვრებო და პირადი ნივთების ტრანსპორტირება
- ტვირთის აწონვა, აწევა/დაწევა
- სატერმინალო მომსახურება
- შიდა გადაზიდვები ქვეყნის მასშტაბით

იურიდიული მისამართია: ფოთი, კოკაიას ხეივანი #1. კომპანიას სხვა ფილიალი არ აქვს, თუმცა ჰყავს წარმომადგენლობა ქ. თბილისის სარკინიგზო-საკონტეინერო ტერმინალზე.

მიუხედავად ბაზარზე არსებული კონკურენციისა, ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი დარგის ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი კომპანიაა. 2017 წლის აგვისტოდან კომპანიამ დაამატა იმპორტირებული ავტომობილების კონტეინერებიდან გამოყვანა/დაცულ ტერიტორიაზე განთავსების მომსახურება, რამაც განაპირობა შემოსავლების ზრდა.

ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთს აქვს ზრდის საკმაო პოტენციალი, რაშიც დაეხმარება ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული აუთვისებელი ტერიტორიები და ტექნიკა. მენეჯმენტის მიზანი კომპანიის მომსახურებების კიდევ უფრო გაფართოებაა. 2018 წლის განმავლობაში კომპანია აგრძელებდა დაგეგმილი სტრატეგიის შესაბამისად განვითარებას.

შპს „ისთ გეით ენერჯის“ 100% წილის მფლობელი შპს „ისთ გეით გრუპია“. შპს „ისთ გეით ენერჯის“ ძირითადი საქმიანობა ბიზნესისა და მართვის საკითხებში კონსულტაციის გაწევაა. 2018 წლის საანგარიშგებო წელს კომპანიას ოპერაციები არ ჰქონია.

შპს „უნი სერვის ჯორჯია” ჯგუფში შემავალი კომპანიაა, რომლის 80 %-იან წილს ფლობს შპს „ისთ გეით გრუპი“, ხოლო 20%ის მფლობელია ნატალია ბერელაშვილი-ნასიძე; კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტს. 2018 წლის განმავლობაში მომსახურება გაუწია შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთს“. შპს „უნი სერვისის“ მომსახურების თვითღირებულება შეადგენს შესაკეთებელი ნაწილების ღირებულებას, რომელთა შესყიდვაც უკრაინაში ხდება.

შპს „ისთ გეით გრუპი“ ფლობს შპს „ენკის“ 50%-იან წილს, მისი საქმიანობის სფერო სარემონტო-სამშენებლო მომსახურების გაწევაა, თუმცა 2018 წლის განმავლობაში კომპანია ეკონომიკურად არააქტიური იყო. შპს „ენკი“ 100%იან წილს ფლობს შპს „ფშაველაში“, რომელიც 2013 წელს დაარსდა და რომლის ძირითადი საქმიანობის სფერო ელექტროენერგიის მომპოვებელი ჰიდრო-ელექტროსადგურის გაქირავებაა. შპს „ფშაველას“ დუშეთის მუნიციპალიტეტისგან იჯარით აქვს აღებული მიწა სოფელ ჟინვალთან ახლოს, სადაც მდებარეობის მის მიერ აშენებული ჰიდრო-ელექტროსადგური. მიმდინარე საანგარიშგებო წელს ჰესი ნაქირავები აქვს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, რომელიც იხდის იჯარის თანხას გამომუშავებული ელექტროენერგიის კილოვატ-საათების მიხედვით.

ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიებიც არ იყვნენ აქტიურები 2018 წლის განმავლობაში და მათი გააქტიურების სამომავლო გეგმები ამ ეტაპზე დამუშავების ეტაპზეა.

ჯგუფს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე ჰყავდა მეკავშირე საწარმო შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“-ს სახით. კომპანია დაარსებულია 2004 წლის 24 მაისს. შპს „ისთ გეით გრუპი“ არ აკონტროლებს მის საქმინაობას. შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“ ფლობს და აქირავებს კომერციულ ფართებს სავაჭრო ცენტრ „კიდობანში“. გარდა ამისა, მისი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო სავენტილაციო სისტემების რეალიზაციაა. შპს „თეთრი ქალაქი პლუსის“ მაკონტროლებელი წილის მფლობელები არიან: შპს „მისანი“ – 27%, შპს „თეთრი ქალაქი“ – 25%, ირაკლი იაშვილი - 1.3%, მიხეილ იაშვილი - 0.95%, რევაზ ლეჟავა - 2.25%, კონსტანტინე მესხი - 0.5%.

ჯგუფი მომავალში გეგმავს გააგრძელოს მუშაობა არსებული ბიზნეს მოდელით. აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, კომპანიის ოპერირების რისკები ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობასთანაა კავშირში. პოლიტიკური რისკების გარდა არსებობს რიგი რისკებისა, რომლებიც თითოეულ კომპანიაზე განსხვავებულად იმოქმედებს, მაგალითად, ანაკლიის პორტის გახსნამ შესაძლოა სერიოზული ეკონომიკური საფრთხე შეუქმნას ჯორჯიან ტრანს ექსპედიციას, რომელიც თავის მხრივ დააზარალებს შპს „უნი სერვის ჯორჯიასაც“.

წარმოგიდგენთ 2017-2018 წლის ფინანსურ კოეფიციენტებს, საიდანაც ჩანს ჩვენი კომპანიის საქმინობის შედეგები და ტენდენციები:

მაჩვენებელი	2018 წელი	2017 წელი
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.80	0.88
მიმდინარე ვალდებულებების ფარდობა მარაგებთან	7.40	4.83
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	3.13	3.64
საოპერაციო მოგების ნორმა	15%	(4%)
მთლიანი დავალიანების კოეფიციენტი	0.68	0.73

საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვების სექტორი ყოველთვის დიდი ყურადღების ქვეშაა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან. ეს იწვევს დამატებით საკანონმდებლო და მარეგულირებელ შეზღუდვებს, საზოგადოებისთვის უსაფრთხოებისა და მაღალი ხარისხის დამატებითი გარანტიების უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპისთვის კომპანია წარმატებით ართმევს თავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა რეგულაციას, მათ შორის უსაფრთხოების ახლად დადგენილ სტანდარტებს.

დირექტორი

დავით დავითიძე

შპს ისთ გეით გრუპ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ისთ გეით გრუპ"-ის (შემდგომში - „ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

თამარ მერმანიშვილი

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

2019 წლის 17 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი
400221130

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	18,150	18,427	16,835
არამატერიალური აქტივები		10	10	10
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში	7	1,029	1,133	1,109
სულ გრძელვადიანი აქტივები		**19,189**	**19,570**	**17,954**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	266	373	525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	831	887	3,228
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		286	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		50	116	6
სხვა მიმდინარე აქტივები		-	8	225
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	147	207	429
სულ მიმდინარე აქტივები		**1,580**	**1,591**	**4,413**
სულ აქტივები		**20,769**	**21,161**	**22,367**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	1,342	1,320	5,277
გაუნაწილებელი მოგება		2,577	2,151	2,188
არამაკონტროლირებელი წილის მოგება		2,714	2,342	2,260
სულ კაპიტალი		**6,633**	**5,813**	**9,725**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	12,166	13,548	11,916
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**12,166**	**13,548**	**11,916**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	1,667	1,466	102
მიღებული ავანსები		46	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	255	329	596
საგადასახადო ვალდებულებები		1	5	28
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,969**	**1,800**	**726**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**20,769**	**21,161**	**22,367**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	14	10,008	6,821
შრომის ანაზღაურება		(4,146)	(2,890)
ძირითადი საოპერაციო ხარჯები	15	(2,704)	(2,334)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,183)	(1,212)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(482)	(670)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		124	249
საპროცენტო შემოსავლები		8	15
საპროცენტო ხარჯები		(1,056)	(1,067)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		(200)	(287)
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი	7	967	1,571
მოგება მოგების გადასახადამდე		**1,336**	**196**
მოგების გადასახადის ხარჯი		(9)	-
წლიური მოგება		**1,327**	**196**
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,327**	**196**
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		554	82
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		773	114
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,327**	**196**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილის მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2017		**5,277**	**2,260**	**2,188**	**9,725**
კაპიტალის შევსება		245	-	-	**245**
კაპიტალის შემცირება		(4,202)	-	-	**(4,202)**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	82	114	**196**
გადახდილი დივიდენდი		-	-	(292)	**(292)**
ენკის წილის გაყიდვა		-	-	141	**141**
ბალანსი 31 დეკემბერი 2017 (წინა ანგარიშგებით)		**1,320**	**2,342**	**2,151**	**5,813**
ახალი სტანდარტების დანერგვის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა 4)			**(182)**	**(87)**	**(269)**
ბალანსი 31 დეკემბერი 2017 (გადაანგარიშებული)		**1,320**	**2,160**	**2,064**	**5,544**
კაპიტალის შევსება		109	-	-	**109**
კაპიტალის შემცირება		(87)	-	-	**(87)**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	554	773	**1,327**
გადახდილი დივიდენდი		-	-	(260)	**(260)**
ბალანსი 31 დეკემბერი 2018		**1,342**	**2,714**	**2,577**	**6,633**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ისთ გეით გრუპ

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ		1,327	196
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,183	1,212
ასოცირებული კომპანიის გაყიდვით მიღებული მოგება		-	(9)
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი		(967)	(1,571)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი/(მოგება)		13	175
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		200	287
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვების (ამოტრიალება)/დარიცხვა, წმინდა		159	367
მარაგების რეზერვის (ამოტრიალება)/დარიცხვა, წმინდა		4	-
საპროცენტო შემოსავალი		(8)	(15)
საპროცენტო ხარჯი		1,056	1,067
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**2,967**	**1,709**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(474)	1,855
მარაგების შემცირება		103	152
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(24)	(290)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**2,572**	**3,426**
მიღებული პროცენტი		8	241
გადახდილი პროცენტი		(1,364)	(1,105)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,216**	**2,562**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(919)	(2,979)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		22	245
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	(4,202)
ასოცირებული კომპანიისგან მიღებული დივიდენდი		1,071	1,541
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**174**	**(5,395)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(2,417)	(12,022)
სესხების აღება		1,237	14,821
არამაკონტროლირებელი წილის გაყიდვიდან მიღებული ფული		-	141
ასოცირებული კომპანიის გაყიდვიდან მიღებული ფული		-	15
გადახდილი დივიდენდები		(260)	(292)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,440)**	**2,663**
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(50)**	**(170)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**207**	**429**
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		(10)	(52)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**147**	**207**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დავით დავითიძე
გენერალური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

გიორგი წიკლაური
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 17 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

Management Consulting Group
მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ისთ გეით გრუპის მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ისთ გეით გრუპ“-ის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ისთ გეით გრუპ“-ის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ისთ გეით გრუპი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი

2019 წელი, თბილისი, საქართველო

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი 400221130

წარმოგიდგენთ 2017-2018 წლის ფინანსურ კოეფიციენტებს, საიდანაც ჩანს ჩვენი კომპანიის საქმინობის შედეგები და ტენდენციები:

მაჩვენებელი	2018 წელი	2017 წელი
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.80	0.88
მიმდინარე ვალდებულებების ფარდობა მარაგებთან	7.40	4.83
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	3.13	3.64
საოპერაციო მოგების ნორმა	15%	(4%)
მთლიანი დავალიანების კოეფიციენტი	0.68	0.73

საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვების სექტორი ყოველთვის დიდი ყურადღების ქვეშაა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან. ეს იწვევს დამატებით საკანონმდებლო და მარეგულირებელ შეზღუდვებს, საზოგადოებისთვის უსაფრთხოებისა და მაღალი ხარისხის დამატებითი გარანტიების უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპისთვის კომპანია წარმატებით ართმევს თავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა რეგულაციას, მათ შორის უსაფრთხოების ახლად დადგენილ სტანდარტებს.

დირექტორი

დავით დავითიძე